ეპიკური ქანრების დიალოგში მონაწილე პერსონაჟთა რეპლიკების სავალდებულო აღჭურვა ავტორისეული ფიგურებით ჯერ კიდევ ანტიკურ მწერლობაში ჩამოყალიბდა, მტკიცედაა დაცული „ბიბლიაში“ და საერთოდ ქრისტიანულ მწერლობაში. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენენ მხოლოდ დიალოგური ქანრები, მაგალითად, პლატონისა და ციცერონის დიალოგები, სხვადასხვა ავტორთა დიატრიხები, კატეხიზმები და კითხვა-პასუხის დრამატურული ფორმით შესრულებული ნაწარმოებები, მაგალითად, აპოკრიფი „ღვთისმშობლის მიმოსვლა“, აგრეთვე „დაბალი ქანრები“, მაგალითად, „რომანი მელის შესახებ“. დიალოგებიდან ავტორისეული რემარკების განდევნის ტენდენცია დასავლეთის ლიტერატურაში არსებითად XVII საუკუნიდან იწყება. ამ მხრივ სერუანტესიცი კი „ტრადიციონალისტია“.

პედანტური სიმკაცრით გასდევს დიალოგებს ავტორისეული ფიგურები ძველ ქართულ მწერლობაშიც. ამ ფიგურების ხასიათს ქანრი, თბრობის საგანი განაპირობებდა და არა ლიტერატურული ნაწარმოების შინაგანი აუცილებლობა. ორიგინალურ თუ თარგმნილ აგიოგრაფიულ მოთხრობებში პერსონაჟთა მეტყველებასთან, მათ რეპლიკებთან დაკავშირებულ გაბატონებულ სტილისტურ ფიგურას „პრქუა“ წარმოადგენს, ხოლო ნატიანეებში — „ჰკადრეს“, „მოახსენეს“. ამ მხრივ ავტორები სულაც არ ეძებენ ორიგინალურ სინონიმებს და ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ძველ მწერლობაში „ორიგინალობა“, „მოუღვევადეც ითვებოდა. „ამირანდარეჯანიანისა“ და „ვისრამიანის“ დიალოგებთან წარმოადგენილი ავტორისეული ფიგურები ასეთია: „ბრძანა“, „მოახსენა“ და სხვ. დავიმოწმებთ ერთ მაგალითს: „უბრძანა ამირან დარეჯანისძემან: „ადრე წამოსულხარ არაბეთითაო?“ მოახსენა მან კაცმან: „არის წელიწადი ერთხანხეარიო“. უბრძანა: „რა დღეთა კაცი არისო?“ მოახსენა: „მოყმე არი-

სო, ოცდათხუთმეტისა წლისაო“. უბრძანა: „შენ რომ წამოხველ, იგი არაბეთს დააგდო?“ მოახსენა, ვითა: „არაბეთსაო“ („ანირანდარეჯანიანი)“. რუსთველმა უარესად ვაამდიდრა პერსონაჟთა რეპლიკების მაუწყებელი სავტორო ფიგურების რეპერტუარი, მაგრამ საბოლოოდ მაინც ლიტერატურული ეტიკეტის ერთგული დარჩა.

„ვეფხისტყაოსნის“ დიალოგთა აგების პრინციპი ეპიკური თხრობის ტრადიციას შეესაბამება. საიუბილეო გამოცემის მხოლოდ 68-ე და 236-ე სტროფებს (შესაბამისად: „მე არ შეგარჩენ შენ ზემსა მაგისა დაცილებასა...“, „ქალო, არ იცი, სით მივალ, რა ჭირნი დამითმენინა...“), სადაც პერსონაჟთა მეტყველებაა წარმოდგენილი, არ უძღვის წინ ავტორისეული რემარკები და, ახალი ღროის ნაწარმოებთა მსგავსად, მხოლოდ კონტექსტიდან ირკვევა ვინ წარმოთქვამს აღნიშნულ სტროფებში მოცემულ რეპლიკებს.

ნუთუ ამ ორ პასაჟში რუსთველმა ნებსით თუ უნებლიედ დაარღვია „წესი თხრობისა“, ანუ სტილისტური ნორმა? აღნიშნული ნორმის არსებობაზე მეტყველებს არა მხოლოდ ძველი ქართული, და არა მხოლოდ ქართული, მწერლობის პრაქტიკა, არამედ საკუთრივ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებიც. პოემის ყველა სანდო ნუსხაში საიუბილეო გამოცემის შესაბამის 68-ე და 236-ე სტროფებს წინ უძღვის თითო სტროფი, რომლებშიც მოცემულია სავტორო რემარკები, კერძოდ, დასახელებულია მომდევნო სტროფში მოუბარი პერსონაჟები. ამგვარად, სანდო ხელნაწერებისათვის უცხოა ლიტერატურული ეტიკეტის — დაკანონებული სტანდარტის დარღვევის პრინციპი.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისია ხელნაწერთა აღნიშნული სტროფების მხატვრულ დონესა და ენობრივ თავისებურებას ითვალისწინებდა, როდესაც ისინი ინტერპოლაციად მიიჩნია. მიღებული გადაწყვეტილება, შესაძლოა, სავსებით გამართლებულია. ერთი რამე კი ცხადია: ინტერპოლაციად მიჩნეული სტროფები ერთხელ კიდევ მოწმობენ იმას, რომ ქართულ მწერლობაში დიალოგთა აგების დაკანონებული ნორმა არსებობდა, პერსონაჟთა რეპლიკა ავტორისეული რემარკებით იყო აღჭურვილი.

იქნებ 68-ე და 236-ე სტროფები ნორმისაგან გადახვევის შეგნებული ცდაა ან შემთხვევითი რეციდივი? ძნელია ამ კითხვას დადებითი პასუხი გაცეს. არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ლაპარაკია იმ ეპოქის ძველზე, როცა ეტიკეტისაგან ნებისმიერი გადახვევა უმეცრებად ითვლებოდა (იხ. ამ საკითხზე ე. რ. კურციუსის, დ. ს. ლიხაჩოვის ნაშრომები). გარდა ამისა, ნორმის ყოველი დარღვევა როგორც „მინუს ზერხი“ (ი. ლოტმანის ტერმინი) სრულყოფილ მხატვრულ ნაწარმოებში განსაკუთრებული სტილისტური ფუნქციით უნდა იყოს დატვირთული, რასაც ვერ ვხედავთ „ვეფხისტყაოსანში“, სადაც სტილის ყოველი მოვლენა მიზანშეწონილია და ყოველი მიკრომონაკვეთი ტექსტისა პოემის აგების საერთო პრინციპებს ეთანხმება.

პოემის ორი აღნიშნული პასაჟის დაზუსტებისას მკაცრად უნდა შეუფარდდეს ერთმანეთს ფილოლოგიური და სტილისტური ენალიზი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
 რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის  
 ც. ტორიის ინსტიტუტი

И. А. КЕНЧОШВИЛИ

ЛИТЕРАТУРНЫЙ ЭТИКЕТ И ДИАЛОГИ В «ВИТЯЗЕ  
В БАРСОВОЙ ШКУРЕ»

Резюме

В публикациях поэмы Руставели строфы 67 и 235, предшествующие репликам персонажей и содержащие авторские фигуры, текстологами изъяты из основного текста как художественно несовершенные и представляющие собой интерполяции. Вопрос о том, отошел ли Руставели в данных двух случаях от требований литературного этикета, в частности, обязательного сопровождения реплик персонажей фигурами авторской речи, может быть решен на основе совмещения филологического и стилистического анализа.

PHIOLOGY

I. A. KENCHOSHVILI

LITERARY CONVENTION AND DIALOGUES IN "THE KNIGHT  
IN THE PANTHER'S SKIN"

Summary

In the manuscript copies of Rustaveli's poem there appear two lines (68 and 236) preceded by cues of the characters and containing the author's figures of speech. In the published editions of the poem, however, these lines were deleted from the basic text by textologists who considered them to be literary imperfections. The problem can be solved only by applying both philological and stylistic analysis. The question is whether or not Rustaveli deviated in these two cases from the norms of literary convention characteristic of his period, which required that characters' cues be accompanied by the author's figures of speech.




თ. ბიბილური

ყელსაწურიანი მინის ჭურჭლის ახალი თარიღი

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. აფაქიძემ 27.2.1980)

1977 წ. სამთავროს სამაროვნის ჩრდილოეთ უბანზე გაითხარა თიხის ფილასმარხი, რომელიც შეიცავდა საინტერესო ინვენტარს [1]. სამარხეული კომპლექსიდან საგანგებო ყურადღებას იქცევს ყელსაწურიანი ჭურჭელი (№ 01/1:325; სურ. № 1) — წყლისფერი, გამჭვირვალე მინისა; მას პირი ფართო, გვერდობაეცილი აქვს; პირის ღრუ — მრგვალი და ფართო; ყელი — წვრილად დაჩვრეტილი, საწურით გადატიხრული. მუცელი — სფერული, ქუსლი — კარგად გამოყვანილი, დაბალი. ჭურჭელს გარს შემოუყვება გველის რელიეფური გამოსახულება. ჭურჭლის სიმაღლეა 10 სმ, პირის დიამეტრი — 5,5 სმ, მუცლისა — 7,5 სმ.



სურ. 1

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მსგავსი ჭურჭელი, სამთავროს სამაროვნის გარდა, ცნობილია არმაზისხევიდან, მარტაზისხევიდან, ურბნისიდან. მინის ჭურჭლის ამ სახეობის სამთავროულ ცალეებს, სამარხეულ კომპლექსებზე დაყრდნობით, ახ. წ. IV ს. ათარიღებენ [2]. იმავე თარიღს გვთავაზობენ ურბნისში და მცხეთაში, ნავთსადენის სამაროვანზე აღმოჩენილი მინის ყელსაწურიანებისთვისაც.

ამრიგად, ყელსაწურიანი მინის ჭურჭლის თარიღად ერთხმად აღიარებულია ახ. წ. IV ს. სამთავროს სამაროვნის ახალაღმოჩენილ 164-ე თიხის ფილასმარხში ნაპოვნი მასალა იძლევა თარიღის დაზუსტების საშუალებას. ამ სამარხში დამატარიღებელი მნიშვნელობის მონაპოვრებია: ბოთლი მომწვანო-

მოცისფრო გამჭვირვალე მინისა (01/1-326, სურ. 2)—სქელკედლიანი, ოთხწახნაგა, პირბრტყელი; მის ყელი ფართო, საშუალო სიმაღლისა აქვს; ძირი—ოფნაგ შედრეკილი სამი კონცენტრული წრეხაზით ცენტრში და თითო ასეთივე ხაზით ოთხივე კუთხეში; ცალსურათა: ყელსა და მხარზე მიძერწილი ბრტყელგანივკუთხიანი ყური კანლურების მსგავსი რელიეფური ხაზებითაა შემკული. ჭურჭლის სიმაღლეა 14,0 სმ.

მინის ასეთი ბოთლი ფართოდ იყო გავრცელებული მთელს გვიანანტიკურ სამყაროში (მცირე აზია, სამხრეთ ევროპა, რეინის მხარე, ჩრდილოეთი), საქართველოში კი, მცხეთა-სამთავროს გარდა, მიკვლეულია ურბნისსა და ბიჭვინთაში.

მ. ვანდერჰოვენი მსგავს ბოთლებს ახ. წ. II ს. ათარილებს [3]. ნ. უგრელიძე საქართველოში მიკვლეულთ ზოგადად ახ. წ. I—III სს. საზღვრებში ათავსებს [4]. ასევე ზოგად თარიღს (ახ. წ. I—III სს.) გვთავაზობს ვ. კროპოტკინი პერვომასკიაში ნაპოვნი ცალისათვის [5]. იგი ამ თარიღის შემუშავებისას ეყრდნობა ევერსისა და ისინგის შრომებს. უნგრელ არქეოლოგ ლ. ბარკოციასაც ამ სახის ჭურჭლის ზედა ქრონოლოგიურ საზღვრად ახ. წ. III ს. მიაჩნია [6]. ახ. წ. III ს. თარიღება სამთავროს სამაროვანზე 1939 წ. ქვასამარხებში მიკვლეული ცალებიც [7]. მ. საგინაშვილი კი ურბნისიდან მომდინარე ჭურჭელს ახ. წ. I ს. ათარილებს [8]. ნათქვამი ცხადყოფს, რომ 196-ე სამარხში აღმოჩენილი ბოთლის ახ. წ. I—III სს. დათარიღება საფუძვლიანია. იგივე ითქმის იმავე სამარხიდან მომდინარე ბეჭედებზე. კომპლექსში ოთხი ბეჭედი—სამი ვერცხლისა და ერთი რკინისა. მათ ეძებნება ანალოგები მცხეთიდან და შედარებით დაშორებული პუნქტებიდანც [9—12].

სამი მათგანი ჰორიზონტალურმხრებიანია; ბუდე დარჩილული აქვთ რკალზე. ორი ბეჭედი გემიანია. ერთზე გამოსახულია ომის ღვთაება—არესი (01/1-332, სურ. 3), მეორეზე—მწყემსი, რომელიც თხას წველის (01/331, სურ. 4). ორივე სიუჟეტი ფართოდაა ცნობილი მთელ გვიანანტიკურ სამყაროში. აკად. ს. ჯანაშვიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული მწყემსისა და თხის გამოსახულებიანი ინტალიო ამოჭრის მანერისა და სტილის მიხედვით ახ. წ. II ს. თარიღდება [9]. მსგავსი სიუჟეტის გემა რეინის ქვეყნიდან ახ. წ. III ს. არის დათარიღებული. 164-ე თხის ფილასამარხში აღმოჩენილი ბეჭედები ფორმის, დამზადების ტექნიკისა და პარალელური მასალების მიხედვით კარგად თარიღდება ახ. წ. III ს.

სამარხეულ კომპლექსში შემავალი სხვადასხვა მასალისაგან (გიშერი, აქატი, ქარვა, მინა, სარდიონი და სხვ.) დამზადებული მიძევებიც საკმაოდ ზოგადად ახ. წ. I—III სს. მიეკუთვნება; ამას მხარს უჭერს ავგუსტუსისა და არტაბან II მონეტებიც, თუმცა, როგორც ცნობილია, მათი დამთარიღებელი მნიშვნელობა ძალზე მცირეა.

ამრიგად, 164-ე თხის ფილასამარხის სამარხეული კომპლექსი, ყელსაწურიანი მინის ჭურჭლის გამოკლებით, საფუძვლიანად თარიღდება ახ. წ. III საუკუნით. ეს გარემოება იძლევა საშუალებას ყელსაწურიანი მინის ჭურჭლის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი ახ. წ. III ს-მდე ჩამოვწიოთ. ასეთი დასკვნის სასარგებლოდ ლაპარაკობს 164-ე თხის ფილასამარხის ჭურჭლის გარეგნული მსგავსება სამთავროს სამაროვნების სხვა ცალბითან. ზუსტად ისევე რო-

გორც ახალდმოჩენილ ჭურჭელს ამკობს გველის რელიეფური გამოსახულება, სამთავროს სამაროვნის ადრინდელ მონაპოვრებს (№ 12—541) ყელის ძირიდან ფსკერამდე უწყვეტ ტეხილ ხაზად აკრავს გარშემო საკმაოდ მსხვილი და არათანაბარი სისქის მინის ძაფი [2]. მსგავსი შემკულობა უნდა წარმოადგენდეს თავდაპირველი გამოსახულების გაუზრალეობულ, სქემურ გამეორებას, როდესაც გამოსახულების თავდაპირველი აზრი მიეწყებულა და ჭურჭლის შემკობა თითქოსდა ინერციით გრძელდება. მსგავს ფაქტებს არცთუ იშვიათად აქვს ადგილი მონეტებისა და მცირე ხელოვნების სხვა სახის ძეგლების შემკულობაშიაც.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
ისტორიის, არქეოლოგიისა და  
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

(შემოვიდა 21.3.1960)

АРХЕОЛОГИЯ

Т. И. БИБИЛУРИ

К ДАТИРОВКЕ ОДНОГО ТИПА СТЕКЛЯННЫХ СОСУДОВ

Резюме

В 1977 г. на Самтаврском могильнике была вскрыта гробница. Погребальный комплекс, наряду с другими предметами (стеклянная бутылка, серебряные и железные перстни с геммами-инталиями, бусы из разного материала, монеты Августа и Артабана II, фрагмент золотой цепочки) включал стеклянный сосуд с цедилкой-перегородкой для процеживания между туловом и горлышком. На сосуде имеется рельефное изображение змеи, тонкой работы. Этот вид сосуда датировался IV в. н. э. [2, 3, 10].

На основе дифференцированной датировки погребального комплекса нижней хронологической границей рассмотренного типа стеклянных сосудов с цедилкой признан III в. н. э. Следовательно, для стеклянных сосудов с цедилкой предлагается новая, уточненная дата — III—IV вв. н. э.

ARCHAEOLOGY

T. I. BIBILURI

NEW DATING OF A GLASS VESSEL WITH STRAINER

Summary

A tomb built of large quadrangular ceramic slabs (plinths), was opened at the Samtavro burial site in 1977. Among other artifacts (a glass flask, silver and gold finger-rings set with intaglio gems, beads made of different materials, coins of Augustus and of Artabanus II) the funerary complex contained a glass vessel having a strainer-partition between the neck and the body. A snake, executed in relief with refined skill, is represented on the body of the vessel. This type of vessel had been assigned to the 4th

century A. D. Analysis and differentiated dating of the artifacts forming the funerary complex have lead the author to the conclusion that the chronological limit of this type of vessel should be brought forward. The strainer-type glass vessel is thus datable to the 3rd-4th cc. A. D.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ტ. II. თბილისი, 1978.
2. ნ. უგრელიძე. აღრე შუასაუკუნეთა ქართლში მინის წარმოების ისტორიისათვის. თბილისი, 1967.
3. M. Vanderhoeven. Verres Romains (Ier 3me siècle) Liège, 1961.
4. ნ. უგრელიძე. მინა ძველ საქართველოში. თბილისი, 1961.
5. В. В. Кропоткин. САН, Д1-27, 1970.
6. L. Varkozi. Folia Archeologica, XVIII, 1966-1967.
7. М. И. Максимова. ССМ, XVI-В. თბილისი, 1950.
8. მ. მ. საგინაშვილი. ურბნისის სამაროვანის მინის ჭურჭელი. თბილისი, 1976.
9. მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს მუზეუმის გემები. ტ. 1. თბილისი, 1950.
10. F. Henkel. Die romischen Fingerringe der Rheinlande, Berlin, 1913.
11. F. Marshall. Catalogue of the Finger Rings: Greek, Etruscan and Roman, London 1907.
12. G. Richter. Catalogue of the Atique Engraved Gems. New York, 1920.

УДК 784.4(47.922)

მონოგრაფია

6. მანისრაძე

„გ“ კადანსი მისხურ სიმღერებში

(წარმოადგინა აკადემიკოსმა ვ. ჩიტაიამ 7.2.1980)

მესხური სიმღერებისათვის დამახასიათებელ კადანსთა შორის, რომლებიც საგანგებოდ შეისწავლა ვ. მალრაძემ, საყურადღებოა „გ“ კადანსი. მასზე



მსჯელობისას მკვლევარი შენიშნავს, რომ იგი კადანსის სრულიად ახალი სახეობაა, რომელიც სათანადო კვლევას მოითხოვს [1]. ამ კადანსით ბოლოვდება მესხური სუფრული სიმღერები „დარეჯან გაგათხუბენ“, „ნეფე (ფაშა) ჩამოჯდა ხანდოსა“, „წასვლა სჯობს წამამავალსა“, „ხევსურნი ჩამოგვესივნენ“ [1]. ინტერესს იწვევს „გ“ კადანსის აგებულება. სიმღერაში „დარეჯან გაგათხუბენ“ მოცემული „გ“ კადანსის შედარებისას ხევსურულ „ხმით ნატირალში“ [2] კილოს მეოთხე საფეხურზე აგებულ ფრაზების შემაერთებელ



მელოდიურ მიმოქცევასთან, ან მისამღერთან ირკვევა, რომ ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე მოვლენასთან უნდა გვქონდეს საქმე. ხევსურული „ხმით




ნატირალის“ მუსიკალურ ტექსტებში დადგენილია ფრაზების შემაერთებელი მელოდიური მიმოქცევის თანდათანობითი განვითარების პროცესი. კერძოდ, თავდაპირველად იგი წარმოადგენდა კილოს მეოთხე საფეხურზე აგებულ შემაერთებელ ბგერას. შემდეგ კი ამ საფეხურზე წარმოიქმნა მუსიკალური ნაგებობა, რომელიც „ხმით ნატირალში“ მისამღერის სახით ჩამოყალიბდა (ამაზე მიგვანიშნებს აგრეთვე შესაბამისი სიტყვიერი ტექსტი) [2]. აქვე დავძენთ, რომ ფრაზის დასასრულს, ტონიკური ბგერის შემდეგ, კილოს მეოთხე საფეხურზე (შემაერთებელ ბგერაზე) გადასვლა შემთხვევითი როდია, რადგან იგი გენეტურად დაკავშირებულია მუსიკალური აზროვნების განვითარების იმ სა-

ფეხურთან, როდესაც მელოდიის პარმონიულ საყრდენად კვარტის ინტერვალი გაიზრებოდა. საგულისხმოა, რომ მესხურ სიმღერებში წარმოდგენილმა წინადადებების შემაერთებელმა მუსიკალურმა ნაგებობამ განვითარების იგივე გზა განვლო. სიმღერის „ღარეჯან გაგათხუებენ“ პირველი სტროფის პირველ წინადადებაში შემაერთებელი მუსიკალური ნაგებობა ლა ბგერით თავდება, რითიც ხაზგასმულია მი კილოს მეოთხე საფეხური, როგორც წინადადებების შემაერთებელი ბგერა. მეორე წინადადების დასაბრუნებლად მყარ მეოთხე საფეხურს მოსდევს ბგერა სოლ, რომელიც კილოს ტონიკის ნიშნებს იძენს და შემაერთებელი მუსიკალური ნაგებობის პარმონიულ საყრდენად იქცევა, თუმცა მომდევნო წინადადებასთან მიმართებაში იგი ძირითადი მი კილოს ტერციად გაიზრება. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ შემაერთებელი მუსიკალური ნაგებობა წინადადების ორგანული ნაწილია (რაზეც მიუთითებს აგრეთვე შესაბამისი სიტყვიერი ტექსტი). ყოველივე ეს ამ ნაგებობას კადანსის მნიშვნელობას ანიჭებს. აქვე დავძენთ, რომ „ხმით ნატირალში“ მისამღერის დასასრულს მოცემული ფა ბგერა აგრეთვე კილოს ტონიკის ნიშნებს იძენს, თუმცა აქაც მომდევნო ფრაზებთან მიმართებაში იგი ძირითადი ლა კილოს პირველი საფეხურის ტერციად გაიზრება.

სიმღერის „ნეფე (ფაშა) ჩამოჯდა ხანლოს“ მელოდია ზემოხსენებული სუფრულის ვარიანტია. მისი პირველი წინადადების დასასრულს მოცემული ფა-დიეზ კილოს პირველი საფეხურის მიმართ მი ბგერა (მეოთხე ტაქტი) მეშვი-




დე საფეხურია. წინადადების ბოლოს მოცემულ კადანსში, ვფიქრობთ, ბანის მეშვიდე საფეხური (მი) უნდა იყოს გააზრებული. სიმღერის დამაბოლოებელი მესამე წინადადების დასასრულს მი ბგერა კილოს ტონიკის მნიშვნელობას




იძენს. მას მოსდევს კილოს მეოთხე საფეხურზე აგებული შემაერთებელი მუსიკალური ნაგებობა, რომელიც აქ კადანსის სახით გვევლინება.

თავისებურად არის წარმოდგენილი შემაერთებელი მუსიკალური ნაგებობა — მისამღერი სიმღერაში „წასვლა სჯობს წამამავალსა“. მასში მეოთხე საფეხური (სი-ბემოლი) მოცემულია ნაგებობის ბოლოს.




სიმღერაში „ხევსურნი ჩამოგვესიენენ“ პირველი სტროფის პირველი წინადადებაში მელოდიის დასასრულს, მი კილოს რიტმულად მყარი მეორე

საფეხურის (ფა-დიეზი) შემდეგ ივარაუდება კილოს პირველი საფეხური (მი). ამაზე მიგვანიშნებს წინადადების ბოლოს (მეხუთე-მეექვსე ტაქტები) მი კი-



ლოს მეოთხე საფეხურზე მოცემული წინადადებების შემაერთებელი ლა ბგერა, რომელიც უმნიშვნელოდ გაფართოებულია კილოს პირველი საფეხურის ტერციით და კვინტით (სოლ-სი-ბემოლი); გარდა ამისა, მსგავსი სტრუქტურის მქონე სიმღერაში „სახლო ღმერთმან ავაშენა“ [1] კილოს ტონიკა რეაღურად ჩანს. სიმღერის „ხევსურნი ჩამოგვესიენენ“ პირველი სტროფის მეორე წინადადება თავდება მი კილოს მეშვიდე საფეხურით (რე), რომელიც დრო-



ებით დამოუკლებელი კილოს ტონიკის მნიშვნელობას იძენს. მას მოსდევს წინადადებების შემაერთებელი მუსიკალური ნაგებობა, რომლის ლა ბგერა რე კილოს პირველი საფეხურისათვის კვინტად გაიაზრება, ხოლო მომდევნო წინადადებაში მოცემული მი კილოსათვის — მის მეოთხე საფეხურად. სიმღერის დასასრულს შემაერთებელი მუსიკალური ნაგებობა, რომელიც სოლ ბგერით თავდება, კადანსის მნიშვნელობას იძენს.

ამგვარად, „გ“ კადანსს მესხურ სიმღერაში საფუძვლად უდევს კილოს მეოთხე საფეხურზე აგებული წინადადებების შემაერთებელი მუსიკალური ნაგებობა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა  
და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

(შემოვიღა 11.11.1980)

ЭТНОГРАФИЯ

Н. М. МАЙСУРАДЗЕ

«Г» КАДАНС В МЕСХСКИХ ПЕСНЯХ

Резюме

В результате анализа месхских песен выяснилось, что в основе «Г» каданса лежит возникшее на четвертой ступени лада соединяющее предложения музыкальное построение.

N. M. MAISURADZE

G-CADENCE IN MESKHIAN SONGS

Summary

An analysis of Meskhian songs has shown that G-cadence is based on a musical structure joining sentences and emerging in mode IV.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. ვ. შაღრაძე. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი, 1971.
2. შ. ასლანიშვილი. ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ, II. თბილისი, 1956.





## საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის В АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. ზ. მელიქიშვილის  
სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის  
კოლექტივის

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გულითადად ულოცავენ რესპუბლიკის ქიმიური პროფილის უძველესი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. ზ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექციას, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, მთელ კოლექტივს სახელოვან თაირის — ინსტიტუტის დაარსების 50-ე წლისთავს.

განვიღო პერიოდში ინსტიტუტმა დიდი წვლილი შეიტანა რესპუბლიკაში ქიმიის მეცნიერების, აგრეთვე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგის — ქიმიური მრეწველობის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, მაღალკვალიფიციური კადრებისა და ქიმიკოსი სპეციალისტების აღზრდაში. ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში შექმნილი ზოგიერთი სამეცნიერო ლაბორატორია შემდეგ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცალკეულ ინსტიტუტებად გადაიქცა.

თქვენი კოლექტივი ყოველთვის გამოირჩეოდა აქტიური პოზიციით რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის აქტუალური ამოცანების გადაწყვეტაში. ინსტიტუტის მეცნიერული კვლევის შედეგები და ნამუშევრები წარმატებით გამოიყენებოდა და გამოიყენება სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის, გარემოს დაცვის, ახალი მაღალეფექტიანი მასალების წარმოების საქმეში. ინსტიტუტის მიერ შემოთავაზებული ახალი ტექნოლოგიური პროცესების დადებითი თავისებურებაა მეტწილად ამოსავალ მასალებად ადგილობრივი არადეფიციტური ნედლეულის ან წარმოების ნარჩენების გამოყენება.

ინსტიტუტის მეცნიერული კვლევის შედეგები და ნამუშევრები, რომლებიც მრავალი სამეცნიერო სტატიის, მონოგრაფიის, თემატური კრებულის, შრომის სახით დაიბეჭდა, ფართოდ არის ცნობილი როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ, ხოლო აღმოჩენების პრიორიტეტს ადასტურებს 150-ზე მეტი საავტორო მოწმობა და 9 პატენტი.

ინსტიტუტი ავითარებს და აღრმავებს მჭიდრო შემოქმედებით კონტაქტებს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, მოკავშირე რესპუბლიკების, უწინარეს ყოვლისა, აზერბაიჯანისა და სომხეთის სს რესპუბლიკების მეცნიერება-

თა აკადემიების სამეცნიერო ინსტიტუტებთან, აფართოებს საქრთაშორისო მეცნიერული ურთიერთობის გეოგრაფიას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. გ. მელოქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დაარსების 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ზეიმობა მიმდინარეობს იმ დღეებში, როცა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, დაძაბულად და შთაფრთხილად შრომობენ სკკპ XXV ყრილობის ამოცანების გადასაწყვეტად და ემზადებიან ღირსეულად, ახალი შრომითი წარმატებებით შეხედნენ საბჭოთა კავშირის მშობლიური კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას, საქართველოში საბჭოთა ხელოსუფლების დამყარების მე-60 წლისთავს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ინსტიტუტის კოლექტივს უსურვებენ ღირსეული წვლილი შემატოს იმ ამოცანების გადაწყვეტას, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა დაუსახა საბჭოთა მეცნიერებას, წარმატებით განახორციელონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებებით განსაზღვრული კონკრეტული ღონისძიებანი, და გამოთქვამენ რწმენას, რომ ინსტიტუტის სახელოვანი კოლექტივი კვლავაც მოახმარს მთელს თავის ძალღონეს, ენერგიას და გამოცდილებას მიღწეულ წარმატებათა შემდგომ განვითარება-გამრავლებას, კიდევ უფრო აქტიურ მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის განვითარების, სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის, გარემოს დაცვის ამოცანების გადაწყვეტაში, უფრო სრულად გამოაყენოს და გამოიყენებს ინსტიტუტის სამეცნიერო პოტენციალს ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

КОЛЛЕКТИВУ ИНСТИТУТА ФИЗИЧЕСКОЙ И ОРГАНИЧЕСКОЙ ХИМИИ имени П. Г. МЕЛИКИШВИЛИ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

Центральный Комитет Коммунистической партии Грузии, Президиум Верховного Совета Грузинской ССР и Совет Министров Грузинской ССР сердечно поздравляют дирекцию, партийную, профсоюзную и комсомольскую организации, весь коллектив Института физической и органической химии имени П. Г. Меликишвили Академии наук Грузинской ССР, старейшего научно-исследовательского центра химического профиля республики со славной датой — 50-летием со дня основания института.



За прошедший период институт внес большой вклад в становление, формирование и развитие химической науки в республике, а также одной из ведущих отраслей народного хозяйства республики — химической промышленности, воспитание высококвалифицированных научных кадров и специалистов-химиков. Некоторые научные лаборатории, зародившиеся в Институте физической и органической химии, выросли впоследствии в отдельные институты Академии наук Грузинской ССР.

Результаты научных исследований и разработок коллектива института, всегда отличавшегося активной позицией в решении актуальных для народного хозяйства республики задач, успешно использовались и используются для интенсификации промышленного и сельскохозяйственного производства, защиты окружающей среды, производства новых высокоэффективных материалов. Положительной особенностью предлагаемых институтом новых технологических процессов является использование в большинстве случаев в качестве исходных материалов местного недефицитного сырья или отходов производства.

Результаты научных исследований и разработок института, опубликованные в виде многочисленных научных статей, монографий, тематических сборников и трудов, широко известны в нашей стране и за рубежом, а приоритет на изобретения закреплен более чем 150 авторскими свидетельствами и 9 патентами.

Институт развивает и углубляет тесные творческие контакты с научными институтами Академии наук СССР, академий наук союзных республик и в первую очередь академий наук Азербайджанской ССР и Армянской ССР, расширяет географию международных научных связей.

Юбилейные торжества, посвященные 50-летию со дня основания Института физической и органической химии имени П. Г. Меликишвили Академии наук Грузинской ССР, проходят в дни, когда трудящиеся нашей республики так же, как и весь советский народ, напряженно и вдохновенно трудятся над решением задач, поставленных XXV съездом КПСС, и готовятся достойно встретить новыми трудовыми успехами XXVI съезд Коммунистической партии Советского Союза, XXVI съезд Компартии Грузии, 60-летие установления Советской власти в Грузии.

Центральный Комитет Коммунистической партии Грузии, Президиум Верховного Совета Грузинской ССР и Совет Министров Грузинской ССР желают коллективу института внести достойную лепту в решение задач, поставленных Генеральным секретарем ЦК КПСС, Председателем Президиума Верховного Совета СССР товарищем Л. И. Брежневым перед советской наукой, успешно претворить в жизнь конкретные мероприятия, определенные решениями ЦК КП Грузии и Совета Министров Грузинской ССР, и выражают уверенность, что славный коллектив института и впредь будет направлять все свои усилия, энергию и опыт на дальнейшее развитие и приумножение до-

стигнутых успехов, на еще более активное участие в решении задач развития химической промышленности республики, химизации сельского хозяйства, охраны окружающей среды, полное раскрытие и реализацию научного потенциала института на благо нашей великой социалистической Родины.

Центральный Комитет Компартии Грузии

Президиум Верховного Совета Грузинской ССР

Совет Министров Грузинской ССР

★ ★ ★

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფლიური საერთო კრება

4 აპრილს გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფლიური საერთო კრება, რომელზეც ლაპარაკი იყო იმაზე, თუ რაოდენ მრავალფეროვანია 1979 წელს რესპუბლიკის მეცნიერთა საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ყველა დარგის ფუნდამენტური და გამოყენებითი გამოკვლევები, როგორ ემზადებიან ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის, ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვების 35-ე წლისთავის, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისათვის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავისათვის.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომპარტიის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე ე. სეხნიაშვილი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელები.

კრება გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ე. ხარაძემ. მან აღნიშნა, რომ ფლითიწლობით მტკიცდება რესპუბლიკის სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი. კვლევის მძლავრი რესურსების ეფექტიანი გამოყენება, სახალხო მეურნეობის საკითხებთან მეცნიერების შემდგომი დაახლოება, სამრეწველო საწარმოების მზარდი შემოქმედებითი კავშირი, გამოყენებითი მნიშვნელობის გამოკვლევებისა და ნაშრომების ხვედრითი წონის გადიდება — ასეთია საქართველოს მეცნიერთა საქმიანობის მთავარი მიმართულება მეათე ხუთწლეულის მეოთხე წელს.

კრების მონაწილეებმა მოისმინეს საქ. სსრ მეცნ. აკადემიის წევრ-კორ. ლ. გორგილაძის მოხსენება „ვ. ი. ლენინი და თანამედროვეობა“.

შემდეგ წაიკითხეს ცნობა ისტორიის დარგის 1979 წ. საუკეთესო ნაშრომისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახელობის პრემიის მინიჭების შესახებ. ეს პრემია მიეკუთვნა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს ი. კიკვიძეს (სიკვიდილის შემდეგ) გამოკვლევისათვის „მიწათმოქმედება და მისი კულტი ძველ საქართველოში“.

რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მედლები და პრემიები მიენიჭათ აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებსა და ახალგაზრდა მეცნიერებს 1979 წ. საუკეთესო მეცნიერული შრომებისათვის. ისინი გადაეცათ რეს-

პუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის უმცროს მეცნ. თანამშ. ა. უშვერიძეს ნაშრომების ციკლისათვის „კლასიკურ გადაწყვეტათა სპექტრის შესწავლა ველის თეორიის ზოგიერთ მოდელში“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეხუთე კურსის სტუდენტს ლ. ხაჩიძეს მეცნიერული ნაშრომისათვის „ფსალმუნთა ქართულ ვერსია და ეროვნული გარემო“; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტს პ. სურგულაძეს მეცნიერული ნაშრომისათვის „გაზეთები „საქართველოს მოამბე“ და „საქართველოს ფოსტა“ როგორც დიდმნიშვნელოვანი პირველწყაროები ამიერკავკასიისა და ახლო აღმოსავლეთში ინგლისის პოლიტიკის გაგებისათვის (1919—1920 წწ.)“.

1979 წ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საჭიანობის შესახებ მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანმა ნ. ლანდიამ.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის, საქ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი ა. გუნია, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის დამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი ვ. მახალიანი, საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე, საქ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი ა. ძიძიგური, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის მდივანი, ისტ. მეცნ. ნ. ხაზარაძე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, საქ. სსრ მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტი ლ. ოკლეი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ისტ. მეცნ. დოქტ. ბ. ტეხოვი.

მოხსენებასა და გამოსვლებაში აღინიშნა, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და მისი დაწესებულებების საქმიანობა 1979 წ. მიზნად ისახავდა სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის, მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნაშრომებსა და გამოსვლებაში საბჭოთა მეცნიერების წინაშე დასახული ამოცანების შესრულებას.

საანგარიშო პერიოდში აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებები ამუშავებდნენ 183 პრობლემას, 794 თემას, აქედან 118 თემა დამთავრებულია, დანერგა ან ინერგება წარმოებაში. მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებებმა შეასრულეს ხუთწლედის მეოთხე წლის სახელმწიფო ვეგმები. მეცნიერთა ნაშრომების წარმოებაში დანერგვის შედეგად მიღებულმა ეკონომიკურმა ეფექტმა 30 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

კრებაზე დასახელებულ საანგარიშო პერიოდის ძირითადი გამოკვლევები, რომლებსაც დიდი მეცნიერული და ეკონომიკური რეზონანსი აქვს.

საანგარიშო პერიოდში გაფართოვდა ქართველ მეცნიერთა შემოქმედებითი კავშირები ცენტრალურ სამეცნიერო დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან, მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებთან, განმტკი-

ცდა სამეცნიერო და სამეცნიერო-წარმოებითი კავშირები სოციალისტური ქვეყნების მეცნიერებთან. კრებაზე მოყვანილ იქნა მრავალი მაგალითი ნაყოფიერი თანამშრომლობისა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ჩვენი ქვეყნის სხვა აკადემიებთან და საზღვარგარეთის აკადემიებთან.

კრებაზე დაწვრილებით იყო საუბარი აკადემიის მრავალი ინსტიტუტისა და დაწესებულებების კონკრეტულ საქმიანობაზე. აღინიშნა, რომ თითოეული მათგანის საქმიანობას ახასიათებს ის, რომ მათი მუშაობის მთავარი მიზანია ცხოვრებასთან და პრაქტიკასთან კავშირის უფრო მეტად განმტკიცება.

კრებამ დაამტკიცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წესდების ცვლილებანი. კერძოდ, ამიერიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ახალ ნამდვილ წევრებსა და წევრ-კორესპონდენტებს აირჩევენ ყოველ ორ წელიწადში და არა ოთხ წელიწადში ერთხელ, როგორც აქამდე იყო.

კრებამ განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტებად აირჩიეს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები ი. გვერდწითელი და გ. ჯიბლაძე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნად აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ცაგარელი, ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილების აკადემიკოს-მდივნად აირჩიეს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი თ. ონიანი, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. აფაქიძე დაინიშნა საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებლად. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. ოკუჯავა აირჩიეს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრად.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ დაამტკიცა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ღირებულებები.

აკადემიის წლიურმა საერთო კრებამ მიიღო დადგენილება, რომელშიც დასახულია ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის მეცნიერული კვლევების შემდგომი განვითარების, საქართველოს მეცნიერების მიერ 1980 წლისათვის აღებული სოციალისტური ვალდებულების შესრულების კონკრეტული ღონისძიებები. დადგენილებაში გამაზვიებელია ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს მეცნიერებმა უნდა მოახდინონ მთელი ძალების კონცენტრაცია იმ სამეცნიერო მიმართულების გადასაწყვეტად, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ მრეწველობის, მშენებლობის და სოფლის მეურნეობის საკვანძო დარგების განვითარების საქმეში.

## ГОДИЧНОЕ ОБЩЕЕ СОБРАНИЕ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИИ

О разносторонних фундаментальных и прикладных исследованиях ученых республики в 1979 г. во всех областях естественных, технических и общественных наук, о том, как они готовились к 110-й годовщине со дня рождения В. И. Ленина, 35-летию великой победы советского народа над фашистской Германией, о подготовке к XXVI съезду КПСС и XXVI съезду Компартии Грузии, 60-летию установления Со-

ветской власти в Грузии говорилось на годичном общем собрании Академии наук Грузинской ССР, которое состоялось 4 апреля.

В президиуме собрания — секретарь ЦК КП Грузии Г. Н. Енукидзе, заведующий отделом науки и учебных заведений ЦК КП Грузии Э. А. Сехниашвили, руководители Академии наук республики.

Собрание открыл президент Академии наук Грузинской ССР Е. К. Харадзе.

Он отметил, что с каждым годом крепнет научно-технический потенциал республики. Эффективное использование мощных исследовательских ресурсов, дальнейшее приближение науки к запросам народного хозяйства, крепнущие творческие связи с промышленными предприятиями, увеличение удельного веса исследований и разработок, имеющих прикладное значение, — таково главное направление деятельности ученых Грузии в четвертом году десятой пятилетки.

Участники собрания прослушали доклад чл.-корр. АН ГССР Л. Е. Горгиладзе — «В. И. Ленин и современность».

Затем было оглашено сообщение о присуждении премии Академии наук Грузинской ССР имени С. Н. Джанашиа за лучшую работу 1979 г. в области истории. Этой премии удостоен доктор исторических наук Я. А. Киквидзе (посмертно) за исследование «Земледелие и его культ в древней Грузии».

Медали и премии Академии наук республики присуждены также студентам высших учебных заведений и молодым ученым за лучшие научные работы, выполненные в 1979 г. Они вручены младшему научному сотруднику Института физики АН ГССР А. Г. Ушверидзе за цикл работ «Изучение спектра классических решений в некоторых моделях теории поля»; студентке V курса Тбилисского государственного университета Л. А. Хачидзе за научный труд «Грузинская версия псалмов и национальная среда»; студенту IV курса Тбилисского государственного университета П. А. Сургуладзе за научный труд «Газеты «Сакартвелос моамбе» и «Сакартвелос поста» как важные первоисточники для понимания политики Англии в Закавказье и на Ближнем Востоке (1919—1920 гг.)».

С докладом о деятельности Академии наук Грузинской ССР в 1979 г. выступил академик-секретарь Академии наук республики Н. А. Ландия.

В обсуждении доклада приняли участие директор Института экономики и права, академик АН ГССР А. Л. Гуния, академик-секретарь Отделения прикладной механики и процессов управления Академии наук республики В. В. Махалдiani, председатель Комиссии по изучению производительных сил и природных ресурсов, академик АН ГССР А. А. Дзидзигури, секретарь партийной организации Института истории, археологии и этнографии имени И. А. Джавахишвили АН ГССР, канд. ист. наук Н. В. Хазарадзе, заместитель директора по научной части Института металлургии имени 50-летия СССР Академии наук республики чл.-корр. АН ГССР, Л. Н. Оклей, директор Юго-Осетинского

научно-исследовательского института АН ГССР, докт. ист. наук Б. В. Техов.

В докладе и выступлениях отмечалось, что деятельность Академии наук Грузии и ее учреждений в 1979 г. была направлена на претворение в жизнь решений XXV съезда КПСС и XXV съезда Компартии Грузии, последующих пленумов и постановлений ЦК КПСС и ЦК Компартии Грузии, выполнение задач, поставленных перед советскими учеными в трудах и выступлениях Генерального секретаря ЦК КПСС, Председателя Президиума Верховного Совета СССР товарища Л. И. Брежнева.

Для отчетного периода, отмечалось на собрании, характерно усиление внимания Академии наук к решению ключевых народнохозяйственных проблем. Научно-исследовательские учреждения, каждый сотрудник академии считали и считают своим первейшим долгом дальнейшее повышение качества научно-исследовательских работ, эффективности научных разработок.

В отчетной программе научные учреждения АН ГССР разработали 183 проблемы, 794 темы, из них 118 тем завершены, внедрены или же подлежат внедрению. Учреждения Академии выполнили государственные планы четвертого года пятилетки. Полученный экономический эффект превысил 30 млн. рублей.

На собрании назывались основные исследования отчетного периода, имеющие большой научный и экономический резонанс.

За отчетный период расширились творческие связи грузинских ученых с центральными научными учреждениями и организациями, академиями наук союзных республик, окрепли научные и научно-производственные связи с учеными социалистических стран. На собрании приводились многие примеры плодотворного сотрудничества Академии наук республики с другими академиями страны и зарубежными академиями.

На собрании подробно говорилось о конкретной работе многих институтов и учреждений Академии наук Грузии. Отмечалось, что характерной для каждого из них является направленность исследовательской работы на более тесную связь с жизнью, практикой.

Общее собрание утвердило изменения в уставе Академии наук Грузинской ССР. В частности, отныне выборы новых действительных членов и членов-корреспондентов Академии наук Грузии будут проходить каждые два года, а не раз в четыре года, как это было прежде.

Собрание рассмотрело организационные вопросы.

Вице-президентами Академии наук Грузии избраны академики Академии наук республики И. Г. Гвердцители и Г. Н. Джибладзе. Академиком-секретарем Отделения наук о Земле АН ГССР избран академик АН ГССР А. Л. Цагарели, академиком-секретарем Отделения физиологии и экспериментальной медицины — академик АН ГССР Т. Н. Ониани. Член-корреспондент Академии АН ГССР А. М. Апакидзе назначен исполняющим обязанности академика-секретаря Отделения



общественных наук. Академик АН ГССР В. М. Окуджава избран членом Президиума Академии наук республики.

Общее собрание Академии наук ГССР утвердило директоров научно-исследовательских учреждений.

Годичное общее собрание Академии наук ГССР приняло постановление, в котором намечены конкретные мероприятия по дальнейшему совершенствованию научных исследований фундаментального и прикладного характера, выполнению социалистических обязательств, взятых учеными Грузии на 1980 г. В постановлении подчеркивается необходимость концентрации усилий ученых Грузии на научных направлениях, важных для развития ключевых отраслей промышленности, строительства и сельского хозяйства.



აკადემიის პრეზიდიუმში  
В ПРЕЗИДИУМЕ АКАДЕМИИ

აკადემიის პრეზიდიუმმა ღია სხდომებზე მოისმინა სამეცნიერო მოხსენებები: „ქართული ტერმინოლოგიის შექმნის ისტორია და ტერმინოლოგიური მუშაობის დღევანდელი პრინციპები“ (მომხს.— ფილოლ. მეცნ. კანდ. რ. ღამბაშიძე); „აღმოსავლეთ საქართველოში ნალექების ხელოვნური გაზრდის სამუშაოების შესახებ“ (მომხს.— საქ. სსრ მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. სვანიძე); „სირიის არაბთა რესპუბლიკაში ჩატარებული ბოტანიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევების შესახებ“ (მომხს.— ბიოლ. მეცნ. დოქტ. რ. გაგნიძე).

Президиум Академии на открытом заседании заслушал научные доклады: «История создания грузинской терминологии и сегодняшние принципы терминологической работы» (докл. — канд. филол. наук. Р. Б. Гамбашидзе); «О работе, связанной с ростом искусственных осадков в Восточной Грузии» (докл. — чл.-корр. АН ГССР Г. Г. Сванидзе); «О ботанико-географических исследованиях, проведенных в Сирийской Арабской Республике» (докл.—докт. биол. наук Р. И. Гагნიдзе).



სესიები, კონფერენციები, თათბირები  
СЕССИИ, КОНФЕРЕНЦИИ, СОВЕЩАНИЯ

21—25 აპრილს საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ალ. ჯანელიძის სახ. გეოლოგიურმა ინსტიტუტმა სსრკ საუწყებთაშორისო ტექტონიკური კომიტეტის, კავკასიის ტექტონიკური სექციის და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების თანამონაწილეობით თბილისში ჩაატარა კავკასიის გეოდინამიკის II სემინარი.

სემინარის ამოცანას შეადგენდა კავკასიის და მოსაზღვრე ქვეყნების ლითოსფეროს ფორმირების ზოგადი საკითხების განხილვა; მიწის ქერქის და ზედა მანტიის სტრუქტურის და ნივთიერი შედგენილობის, მათი ევოლუციის და იქ მიმდინარე ენდოგენური პროცესების გაშუქება და ამ პროცესების გამომწვევი მიზეზებისა და ძალების გენეზისის გარკვევა. სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ტექტონიკური სკოლის წარმომადგენლებმა მოსკოვის, ლენინგრადის ბაქოს, ერევნის, ჩრდილოეთ კავკასიის, უფის, კიშინიოვის და თბილისის სამეცნიერო გეოლოგიური ორგანიზაციებიდან, სულ 300 კაცმა. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს წაკითხული მოხსენებები და სემინარის სხვა მასალები. სემინარის დასარულს მოეწყო გეოლოგიური ექსკურსია ძირულის მასივის ფილიტების დათვალიერების მიზნით.

21—25 апреля Геологический институт им. А. И. Джанелидзе АН ГССР при участии Междугосударственного тектонического комитета АН СССР, Секции по тектонике Кавказа и Отделения наук о Земле АН ГССР провел в г. Тбилиси Второй семинар по геодинамике Кавказа.

На семинаре были рассмотрены общие вопросы формирования литосферы Кавказа и соседних стран, обсуждались данные о структуре, вещественном составе и эволюции земной коры и верхней мантии Кавказа, а также результаты геолого-геохимических исследований относительно эндогенных процессов, происходящих в фанерозое в литосфере этого региона, механизма и происхождения сил, обусловивших ее геодинамическую эволюцию.

В работе семинара приняли участие представители разных тектонических школ из научных геологических организаций Москвы, Ленинграда, Баку, Еревана, Северного Кавказа, Кишинева, Уфы и Тбилиси, всего 300 человек. Было принято решение опубликовать доклады и другие материалы семинара. По окончании семинара была организована геологическая экскурсия с целью осмотра филлитов Дзирульского массива.

17—18 მაისს თბილისში ჩატარდა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მე-5 ყრილობა, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 139 დელეგატმა და 200-მდე სტუმარმა.

ყრილობა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლეღამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ცაგარელმა. ყრილობაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა საკავშირო გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტის წევრი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი ვ. პრეობრაჟენსკი.

საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მუშაობაზე საანგარიშო მოხსენებით მე-4 და მე-5 ყრილობებს შორის (1975—1980 წწ.) გამოვიდა საზოგადოების პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი პროფესორი ვ. ჯაო-



შელი. მოსმენილ იქნა აგრეთვე საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტის ი. მარის ინფორმაცია საფინანსო-სამეურნეო საკითხებზე და სარევიზო კომისიის თავმჯდომარის დოც. გ. გურგენიძის მოხსენება.

საანგარიშო მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს საზოგადოების ფილიალის თავმჯდომარეებმა და ყრილობის სხვა დელეგატებმა.

ყრილობამ განიხილა და მიიღო საზოგადოების წესდება.

ყრილობაზე მოსმენილ იქნა სამეცნიერო მოხსენებები თანამედროვე გეოგრაფიული მეცნიერების აქტუალურ საკითხებზე.

საზოგადოების მუშაობა განვილი პერიოდში ყრილობამ შეაფასა დამაკმაყოფილებლად. მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია საზოგადოების მუშაობის დადებითი მხარეები, მითითებულია ზოგიერთ ნაკლზე და დაისახა ღონისძიებანი საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მოღვაწეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ყრილობაზე არჩეულ იქნა საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოები და საკავშირო გეოგრაფიული საზოგადოების მე-7 ყრილობის დელეგატები.

17—18 мая в Тбилиси состоялся V съезд Географического общества Грузии, в работе которого приняли участие 139 делегатов и 200 гостей.

Съезд вступительным словом открыл академик-секретарь Отделения наук о Земле Академии наук Грузинской ССР, академик АН ГССР А. Л. Цагарели.

На съезде с приветственной речью выступил член президиума Географического общества СССР, заместитель директора по научной работе Института географии АН СССР, профессор В. С. Преображенский.

С отчетным докладом о работе Географического общества Грузии между IV и V съездами (1975—1980 гг.) выступил и. о. президента общества профессор В. Ш. Джаошвили. Были заслушаны также информация вице-президента общества И. Г. Марра о финансово-хозяйственных вопросах и доклад председателя ревизионной комиссии доц. Г. К. Гургенидзе.

В рассмотрении отчетного доклада приняли участие председатели филиалов обществ и другие делегаты съезда.

Съезд рассмотрел и принял устав общества.

На съезде также были заслушаны и научные доклады.

Работу общества за прошедший период съезд оценил удовлетворительно. В принятой резолюции отмечены положительные стороны работы общества, указаны некоторые недостатки и намечен ряд задач для дальнейшего улучшения деятельности Географического общества Грузии.

На съезде были выбраны руководящие органы общества и делегаты на VII съезд Географического общества СССР.

17—19 მაისს ქ. თელავში გაიმართა საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების შესწავლის საკითხებისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო სესია, რომელიც მოაწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულმა საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიამ. სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის წარმომადგენლები.

სესია გახსნა კომისიის თავმჯდომარემ საქ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა. თავის გამოსვლაში მან ხაზი გაუსვა საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების შესწავლის დიდ მნიშვნელობას და აღნიშნა ქართველ პროფესიონალ წყაროთმცოდნეთა თვალსაჩინო მიღწევები ამ დარგში.

მოსმენილი მოხსენებები ეხებოდა საქართველოს ისტორიის თხრობითი ლოკუმენტური და ეპიგრაფიკული წყაროების კვლევის შედეგებს, აგრეთვე წყაროთმცოდნეობითი კვლევა-ძიებების მეთოდების საკითხებს.

17—19 мая в г. Телави состоялась республиканская научная сессия, посвященная вопросам изучения грузинских исторических памятников, организованная Комиссией по источникам истории Грузии при Президиуме АН ГССР.

В работе сессии приняли участие представители Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили АН ГССР, Института рукописей им. К. С. Кекелидзе, Тбилисского государственного университета и Телавского педагогического института им. Я. С. Гогобашвили.

Сессию открыл председатель Комиссии академик АН ГССР Ш. В. Дзидзигури. В своем выступлении он заострил внимание на большом значении изучения грузинских исторических письменных памятников и отметил выдающиеся достижения грузинских профессиональных источниковедов в этой области. Были заслушаны доклады, посвященные итогам исследований грузинских исторических повествовательных, документальных и эпиграфических памятников, а также вопросам методики источниковедческих исследований.

20—22 მაისს დაბა ქედაში (აჭარის ასსრ) გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტისა და საქართველოს სსრ ბოტანიკური საზოგადოების გამსვლელი სესია, მიძღვნილი ბუნების დაცვის საკითხებისადმი.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ანხ. მ. ხოზრევანიძემ. სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის სატყეო ინსტიტუტის და ბათუმის ბოტანიკური ბაღის წარმომადგენლებმა. მოსმენილ იქნა მოხსენებები აჭარის მცენარეთა დაცვის შედეგებისა და პერსპექტივებზე.

20--22 мая в пос. Кеда (Аджарская АССР) состоялась выездная сессия Института ботаники Академии наук ГССР и Ботанического общества ГССР, посвященная вопросам защиты природы.

Сессию открыл заместитель председателя Совета министров Аджарской АССР тов. М. А. Хозреванидзе.

В работе сессии приняли участие представители Тбилисского лесного института и Батумского ботанического сада. Были заслушаны доклады об итогах и перспективах работы в области защиты растительного мира Аджарии.

4--6 ივნისს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელმა კომისიამ ჩატარა რესპუბლიკური კონფერენცია თემაზე „საქართველოს სსრ წიაღისეული საბადოების რაციონალური და კომპლექსური გამოყენების მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემები“. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი რესპუბლიკისა და მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელი მუშაკები, სამეცნიერო, საპროექტო, საწარმოო დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების თანამშრომლები, რომლებიც აღნიშნულ პრობლემაზე მუშაობენ. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე საქართველოს სსრ სამთო მრეწველობის მუშაკები, რომლებიც უშუალოდ წარმოებასთან არიან დაკავშირებულნი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისიის და ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის სათანადო კომისიების ხელმძღვანელები და მუშაკები.

კონფერენციის პირველ პლენარულ სხდომას, რომელიც 4 ივნისს ჩატარდა, ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ე. ხარაძე, რომლის შესავალ სიტყვაში განხილული იყო სასარგებლო წიაღისეულის რაციონალური და კომპლექსური მოპოვებისა და გამოყენების ძირითადი საკითხები და ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზები. სხდომაზე მოსმენილ იქნა კომისიის თავმჯდომარის საქ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსის ა. ძიძიგურის მოხსენება საქართველოს მინერალური რესურსების კომპლექსური და რაციონალური გამოყენების ძირითადი მიმართულებების შესახებ ზანგარძლივი პერსპექტივით; საქ. სსრ გეოლოგიის სამმართველოს უფროსის ი. გოგიტიძის მოხსენება საქართველოს უმნიშვნელოვანესი სასარგებლო წიაღისეულის საბადოების მინერალური ნედლეულის ბაზის განვითარების გზების შესახებ; საქ. სსრ საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის გ. ვაშაკიძის მოხსენება საქართველოს სსრ სამთო მრეწველობის პერსპექტივების შესახებ; საქ. სსრ საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ვ. მექაძის მოხსენება სასარგებლო წიაღისეულის საბადოების გამოყენების ეკონომიკური შეფასების ძირითადი პრინციპის შესახებ; საქ. სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, გეოგრა. მეცნ. კანდიდატ ა. კიკნაძის მოხსენება საქართველოს სსრ ტერიტორიის სასარგებლო წიაღისეულის საბადოების დამუშავების დროს ბუნების დაცვის პრობლემების შესახებ; კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის, საქ. სსრ მეცნ. აკად.

დემიის აკადემიკოსის გ. თვალჭრელიძის მოხსენება საქართველოს მადნეული საბადოების სამრეწველო ტიპების და მათი კომპლექსური გამოყენების პრობლემის შესახებ.

სხდომაზე გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე აკად. ნ. ნეკრასოვი, მისი მოადგილე ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი ვ. შელესტი, უკრაინის სსრ საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების საბჭოს თავმჯდომარე, უკრაინის სსრ მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი ა. ალიმოვი, აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის საწარმოო ძალთა შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე აზ. სსრ მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ე. შიხალიბეილი.

5 ივნისს მუშაობდნენ კონფერენციის სექციები: ქვანახშირის, ნავთობისა და გაზის, შავი ლითონების, ფერადი და იშვიათი ლითონების, სამთო-ქიმიური ნედლეულის, სამშენებლო მასალების და მიწისქვეშა წყლებისა. სექციების სხდომებზე მოსმენილი მოხსენებები მოიცავდნენ საქართველოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების, გამდიდრების, გადამუშავების დროს რაციონალური მეთოდების გამოყენების, დანაკარგებთან ბრძოლის, წიაღისეულში მოპოვებული სასარგებლო კომპონენტების რაოდენობის გადიდების და მრავალი სხვა პრობლემის გადაჭრის გზებს.

6 ივნისს პლენარულ სხდომაზე მოსმენილ იქნა სექციების ხელმძღვანელების ანგარიშები და მიღებულ იქნა რეკომენდაციები, რომლებიც წარედგინება რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებს საჭირო ღონისძიებათა განსახორციელებლად.

კონფერენციის მონაწილეთათვის მოეწყო ექსკურსიები ქალაქ თბილისის ღირსშესანიშნაობათა გასაცნობად, აგრეთვე სამგორის ნავთობისა და გაზის საბადოების დასათვალიერებლად.

4—6 июня комиссия по изучению производительных сил и природных ресурсов при Президиуме Академии наук Грузинской ССР провела республиканскую конференцию на тему «Научно-технические проблемы рационального и комплексного использования месторождений полезных ископаемых Грузинской ССР».

В работе конференции принимали участие руководящие работники нашей республики и Академии наук Грузинской ССР, сотрудники научных, проектных, производственных организаций и высших учебных заведений. В работе конференции широкое участие принимали работники горнопромышленных предприятий Грузинской ССР, непосредственно связанные с производством, а также руководители и работники Комиссий по изучению производительных сил и природных ресурсов Академии наук СССР и некоторых союзных республик.

Первое пленарное заседание, состоявшееся 4 июня, проходило под руководством президента Академии наук Грузинской ССР. Е. К. Харадзе, вступительное слово которого было посвящено основным вопросам рациональной и комплексной добычи и использования полезных ископаемых и путям ликвидации имеющихся в этом деле недостатков. На заседании был заслушан доклад председателя комиссии, акаде-

мика АН ГССР А. А. Дзидзигури — об основных направлениях комплексного и рационального использования минеральных ресурсов Грузии на длительную перспективу; начальника Управления геологии ГССР И. К. Гогитидзе — о путях развития минерально-сырьевой базы важнейших месторождений полезных ископаемых Грузинской ССР; заместителя председателя Госплана ГССР Г. С. Вашакидзе — о перспективах горной промышленности Грузинской ССР; директора НИИ экономики и планирования народного хозяйства при Госплане ГССР, чл.-корр. АН ГССР В. И. Мелкадзе — об основных принципах экономической оценки использования месторождений полезных ископаемых; заместителя председателя Госкомитета ГССР по охране природы, канд. геогр. наук А. Г. Кикнадзе — о проблемах охраны природы при разработке месторождений полезных ископаемых на территории Грузинской ССР; заместителя директора Кавказского института минерального сырья, академика АН ГССР Г. А. Твалчрелидзе — о промышленных типах рудных месторождений Грузии и проблемах их комплексного использования.

На заседании выступили председатель Комиссии по изучению производительных сил и природных ресурсов при Президиуме АН СССР, академик Н. Н. Некрасов, его заместитель, д. т. н., профессор В. А. Шелест, председатель Совета по изучению производительных сил и природных ресурсов Украинской ССР, академик АН УССР А. Н. Алымов, председатель КЕПСа АзССР, чл.-корр. АН АзССР Э. Ш. Шихалибейли.

5 июня работали секции конференции: угля, нефти и газа, черных металлов, цветных и редких металлов, горнохимического сырья, строительных материалов и подземных вод.

Доклады, заслушанные на секциях, охватывали пути решения широкого круга проблем применения рациональных методов добычи, обогащения и переработки минерального сырья, борьбы с потерями, увеличения количества полезных компонентов при разработке месторождений и многое другое.

6 июня на пленарном заседании были заслушаны отчеты руководителей секций и приняты рекомендации, которые будут представлены соответствующим руководящим органам республики для осуществления необходимых мероприятий.

Для участия конференции были организованы экскурсии для ознакомления с достопримечательностями г. Тбилиси и осмотра Самгорского месторождения нефти и газа.

17—20 ივნისს ბორჯომში ჩატარდა საქავშირო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა პრობლემას: „გალაქტიკების აგებულება და ფიზიკა“. კონფერენცია ორგანიზებული იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ასტრონომიული საბჭოს, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის თემატიკური სექციის გეგმით „გალაქტიკებისა და მეგალაქტიკის ფიზიკა და ევოლუცია“, რომლებიც უკუიბრებენ აღნიშნულ პრობლემას.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ასტრონომებმა ბულგარეთიდან და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან.

კონფერენციის დამთავრების შემდეგ მისი მონაწილეები ეწვევნენ აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიას.

17—20 июня в Боржоме состоялась Всесоюзная научная конференция, посвященная проблеме «Строение и физика галактик», организованная по плану Тематической секции Астрономического совета АН ГССР «Физика и эволюция галактики и метagalактики» Абастуманской астрофизической обсерваторией, курирующей данную проблему.

В работах конференции приняли участие ученые-астрономы Народной Республики Болгарии и Германской Демократической Республики.

По окончании конференции ее участники посетили Абастуманскую астрофизическую обсерваторию.





მეცნიერთა იუბილეები  
 ЮБИЛЕИ УЧЕНЫХ


საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **ზურაბ ვიანორის ძე ანჩაბაძეს** შეუსრულდა 60 წელი.

Члену-корреспонденту Академии наук Грузинской ССР, заслуженному деятелю науки Грузинской ССР и Абхазской АССР, ректору Абхазского государственного университета, доктору исторических наук, профессору **Зурабу Вианоровичу Анчабадзе** исполнилось 60 лет.

ზ. ანჩაბაძე სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტია. მისი სამეცნიერო ხელმძღვანელები იყვნენ გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსები აკად. ს. ჯანაშია და აკად. ნ. ბერძენიშვილი.

პირველ ხანებში რამდენიმე წლის განმავლობაში ზ. ანჩაბაძე მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. ხოლო 1956 წლიდან იგი დაუბრუნდა მშობლიურ აფხაზეთს. აქ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში იგი ხელმძღვანელობდა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის განყოფილებას.

აღსანიშნავია, რომ გარკვეული დროის შემდეგ ზ. ანჩაბაძე კვლავ აგრძელებს თავის შემოქმედებით მუშაობას იმ ინსტიტუტში, სადაც პირველად ჩამოყალიბდა მისი სამეცნიერო შეხედულებები. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში იგი სათავეში უდგება კავკასიის ხალხთა ისტორიის განყოფილებას. ამ განყოფილებას იგი ხელმძღვანელობდა მრავალი წლის განმავლობაში. 1973 წლიდან იგი სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორია. ყველაფერმა ამან განაპირობა ზ. ანჩაბაძის სამეცნიერო ინტერესების თემატიკური დიაპაზონი, რომელიც ერთობ ფართოა.

ზ. ანჩაბაძის გამოკვლევების ძირითადი მიმართულებაა აფხაზეთის ისტორიის პრობლემების შესწავლა უძველესი დროიდან XX საუკუნემდე. ზ. ანჩაბაძის მრავალ სამეცნიერო გამოკვლევათა შორის აღსანიშნავია მონოგრაფია „შუა საუკუნეების აფხაზეთის ისტორიიდან (VI—XVII ს.)“, „ძველ 16. „მომამე“, ტ. 99, № 1, 1980

აფხაზეთის ისტორია და კულტურა“, „აფხაზი ხალხის ეთნიკური ისტორიის ნარკვევები“. მათში მეცნიერი იკვლევს აფხაზი ხალხის ეთნიკურ ისტორიას. უძველესი დროიდან ჩვენს დღეებამდე, განიხილავს ისეთ მნიშვნელოვან და რთულ სამეცნიერო პრობლემებს, როგორცაა უძველესი აფხაზი ხალხის ჩანოყალიბება, აფხაზი ხალხის ეთნიკური მდგომარეობა ფეოდალურ და ბურჟუაზიულ ეპოქაში.

ზ. ანჩაბაძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა „აფხაზეთის ასსრ ისტორიის ნარკვევების“ შექმნაში ორ ტომად, რომელიც წარმოადგენს პირველ მარქსისტულ-ლენინურ გამოკვლევას აფხაზეთის ისტორიის უძველესი დროიდან XX სს. 60-იან წლებამდე.

ზ. ანჩაბაძის გამოკვლევებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობის ისტორიის საკითხებს. მის კალამს ეკუთვნის ისტორიული ნარკვევი „მეგობრობა მარადიული, ურღვევი“, რომელიც მან დაწერა საქ. სსრ მეცნ. აკად. წევრ-კორ. გ. ძიძარისთან ერთად. ნარკვევში გაშუქებულია აფხაზი და ქართველი ხალხების მეგობრობის ღრმა ისტორიული ფესვები, მათი ერთობლივი ბრძოლა სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის, რევოლუციურ გამოსვლებში მონაწილეობა, მშური თანამშრომლობა საბჭოთა ეპოქაში.

ზ. ანჩაბაძის კალამს ეკუთვნის 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მისი რედაქციით გამოვიდა 40 მონოგრაფია, კრებული, პერიოდული გამოცემები.

ზ. ანჩაბაძის ხელმძღვანელობით მომზადებულია 25 საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია აფხაზეთის, საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ისტორიის შესახებ. იგი სხვადასხვა დროს კითხულობდა ლექციებს მოსკოვის, თბილისისა და ყაბარდო-ბალყარეთის უნივერსიტეტებში.

ზ. ანჩაბაძე იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. ამჟამად იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია და საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის წევრია.

ვუსურვებთ ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ზურაბ ვიანორის ძე ანჩაბაძეს ხანგრძლივ სიცოცხლეს და ახალ შემოქმედებით წარმატებებს საბჭოთა მეცნიერების საკეთილდღეოდ.

По окончании Сухумского педагогического института З. В. Анчабадзе стал аспирантом Института истории, археологии этнографии имени И. А. Джавахишвили АН ГССР. Его научными руководителями были выдающиеся грузинские историки академики С. Н. Джанашиа и Н. А. Бердзенишвили.

Поначалу в течение нескольких лет он работал в Институте истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили, а с 1956 г. возвратился в родную Абхазию. Здесь, в Абхазском институте языка, литературы и истории имени Д. И. Гулиа АН Грузии, он возглавил отдел истории, археологии и этнографии.

Примечательно, что через определенный промежуток времени З. В. Анчабадзе вновь перенес свою творческую деятельность в институт, где сформировались его научные взгляды, — он стал заведующим отделом истории народов Кавказа Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили. Руководил он этим отделом в

течение многих лет. В 1973 г. он — ректор Сухумского педагогического института. Все это, безусловно, повлияло на тематический диапазон научных интересов З. В. Анчабадзе, который весьма широк.

Проблемы истории Абхазии с древних времени до XX в. — основное направление его исследовательской деятельности. Даже краткая характеристика этих трудов З. В. Анчабадзе заняла бы слишком много места. Ограничимся тем, что назовем некоторые из них. Это монографии «Из истории средневековой Абхазии (VI—XVII вв.)», «История и культура древней Абхазии», «Очерк этнической истории абхазского народа». В них ученый исследует этническую историю абхазского народа с древнейших времен до наших дней, рассматривает такие важные и сложные научные проблемы, как происхождение древнеабхазских племен, образование единой абхазской народности, этническое состояние абхазского народа в феодальную и буржуазную эпохи, формирование абхазской социалистической нации.

З. В. Анчабадзе внес значительный вклад в создание «Очерков Абхазской АССР», в двух томах, представляющих первое обобщенное марксистско-ленинское исследование истории Абхазии с древнейших времен до середины 60-х гг.

Одновременно значительное место в исследованиях З. В. Анчабадзе занимают вопросы истории грузино-абхазских взаимоотношений. Его перу принадлежит исторический очерк «Дружба извечная, нерушимая», написанный совместно с членом-корреспондентом АН Грузии Г. А. Дзидзария. В нем раскрыты глубокие исторические корни дружбы грузинского и абхазского народов, их совместная борьба за социальное и национальное освобождение, участие в революционных выступлениях, братское сотрудничество в советскую эпоху.

Перу З. В. Анчабадзе принадлежит более 100 научных работ. Под его редакцией вышло в свет более 40 монографий, сборников, периодических изданий. Под руководством З. В. Анчабадзе подготовлено 25 кандидатских и докторских диссертаций по истории Абхазии, Грузии и народов Северного Кавказа.

В разное время З. В. Анчабадзе читал курсы лекций в Московском, Тбилисском, Кабардино-Балкарском университетах.

З. В. Анчабадзе избирался депутатом Верховного Совета СССР. В настоящее время он является депутатом Верховного Совета Грузинской ССР и членом Абхазского обкома КП Грузии.

Пожелаем известному ученому и общественному деятелю Зурабу Вианоровичу Анчабадзе долголетия и новых творческих успехов на благо советской науки.



საერთაშორისო სამეცნიერო კავშირები  
МЕЖДУНАРОДНЫЕ НАУЧНЫЕ СВЯЗИ

3—9 აპრილს თბილისში, ალ. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტში გერონტოლოგიის განყოფილების ბაზაზე ჩატარდა პირველი სსრკ — აშშ სიმპოზიუმი თემაზე: „დღევანდელი მალალი მახვენებლების მქონე ხალხებისა და ეთნიკური ჯგუფების კომპლექსური ბიოანთროპოლოგიური და სოციალურ-ეთნოგრაფიული შესწავლა“.

სიმპოზიუმის მუშაობაში ამერიკელთა მხრიდან მონაწილეობა მიიღეს ნიუ-იორკის ადამიანის შემსწავლელი ინსტიტუტის თანამშრომლებმა — მეცნიერებათა დოქტორებმა სულა ბენეტმა, ვერა რუბინმა, ლამბროზ კომიტასმა, კენტუკის შტატის უნივერსიტეტის თანამშრომლებმა — დ. ვოლფმა, დ. ვილიგენმა, ტ. არაკარმა, გ. ტასეიმ და ოლბანის უნივერსიტეტის პროფესორმა ფ. ლისმა.

საბჭოთა კავშირის მხრიდან მონაწილეობდნენ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის ინსტიტუტის, სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის გერონტოლოგიის ინსტიტუტის, უკრაინის სსრ მეცნ. აკადემიის მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტების თანამშრომლები (კიევი). საქართველოდან — რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის, ფარმაკოქიმიის, ფსიქოლოგიის, ზოოლოგიის ინსტიტუტების და საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს პედიატრიის ინსტიტუტის თანამშრომლები.

სიმპოზიუმზე მოსმენილ იქნა 11 მოხსენება ამერიკელ, ხოლო 24 საბჭოთა მეცნიერთა მხრიდან. განხილული იყო ორი ერთობლივი ექსპედიციის შედეგები. მიუხედავად იმისა, რომ წარმოებულ იქნა კვლევა ჯერ არ არის დასრულებული, მისმა განხილვამ გამოავლინა შესწავლილ პოპულაციათა მახასიათებელი განსაზღვრული ტენდენციები.

С 3 по 9 апреля в Тбилиси в Институте экспериментальной морфологии им. А. Н. Натишвили на базе отдела геронтологии проводился первый советско-американский симпозиум по теме «Комплексное биолого-антропологическое и социально-этнографическое изучение народов и этнических групп с высоким процентом долгожителей».

В работе симпозиума с американской стороны принимали участие сотрудники Нью-Йоркского института по изучению человека—доктора наук Сула Бенет, Вера Рубин, Ламброз Комитас, сотрудники университета штата Кентукки Д. Вулф, Д. Виллиген, Т. Аркари, Г. Тассей и профессор Олбанского университета Ф. Лисс. С советской стороны участвовали сотрудники Института этнографии АН СССР, Института антропологии МГУ (Москва), Института геронтологии АМН СССР, Института микробиологии и вирусологии АН УССР (Киев), Института экспериментальной морфологии АН ГССР, Института психологии АН ГССР, Института фармакохимии МЗ ГССР, Института педиатрии МЗ ГССР.

На симпозиуме было заслушано 11 докладов с американской стороны и 24 с советской. Обсуждались итоги двух совместных экспедиций.

Несмотря на то что проведенные исследования еще не завершены, их обсуждение выявило определенные сходные тенденции в отношении характеристики выбранных популяций.



ქრონიკა, ინფორმაცია  
ХРОНИКА, ИНФОРМАЦИЯ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით აფხაზეთის ასსრ ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და კულტურის განვითარებაში დიდი წვლილისათვის და დაარსების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. ი. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

Указом Президиума Верховного Совета Грузинской ССР за большой вклад в развитие языка, литературы, истории и культуры Абхазской АССР и в связи с 50-летием со дня основания Абхазский институт языка, литературы и истории им. Д. И. Гулия Академии наук Грузинской ССР награжден Почетной грамотой Президиума Верховного Совета Грузинской ССР.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 25 აპრილის ბრძანებულებით სახალხო მეურნეობისათვის მალაკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაში, მეცნიერული კვლევის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების მე-60 წლისთავთან დაკავშირებით აფხაზეთის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ზურაბ ვიანორის ძე ანჩაბაძე დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით.

Указом Президиума Верховного Совета СССР за заслуги в подготовке высококвалифицированных специалистов для народного хозяйства, развитии научных исследований и в связи с шестидесятилетием со дня рождения ректор Абхазского государственного университета имени А. М. Горького, член-корреспондент Академии наук Грузинской ССР Анчабадзе Зураб Вианорович награжден орденом Трудового Красного Знамени.





თინათინ ვასილის ასული წერეთელი  
 ТИНАТИН ВАСИЛЬЕВНА ЦЕРЕТЕЛИ

საბჭოთა იურიდიულმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა თინათინ ვასილის ასული წერეთელი — თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. მისი სახით ქართველმა საზოგადოებრიობამ დაკარგა დიდი შემოქმედებითი ძალის მკვლევარი, დაუცხრომელი საზოგადო მოღვაწე, ახალგაზრდობის გულისხმიერი აღმზრდელი.

თ. წერეთელი დაიბადა 1903 წ. ჭიათურის მაზრის ს. ცხრუყვეთში ცნობილი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ვასილ წერეთლის ოჯახში. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი შედის თბილისის უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის იურიდიულ განყოფილებაზე. საფუძვლიან იურიდიულ-ფილოსოფიურ განათლებას, სამართლის სხვადასხვა დარგის ღრმა ცოდნას იგი ფართოდ იყენებდა თავის მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობაში.

თ. წერეთლის მეცნიერული ინტერესების მთავარი სფერო გახდა სისხლის სამართალი. სწორედ ამ დარგში შექმნა მან ფუნდამენტური ნაშრომი „მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში“, რომელმაც ფართოდ გაუთქვა სახელი ქართულ სამართალმცოდნეობას როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარ-

გლებს გარეთ. საქართველოს სამართლის მეცნიერების განვითარებაში მნიშვნელოვანი მოვლენაა მისი მონოგრაფია „მოძღვრება დანაშაულის შესახებ“. თ. წერეთლის მეცნიერულ ნაშრომებზე იზრდებოდა მეცნიერი ოურისტების ახალი თაობა.

საბჭოთა და საზღვარგარეთის კანონმდებლობის ზედმიწევნით ცოდნა, იურიდიული ანალიზის მეთოდების ფლობა, სასამართლო პრაქტიკის არსში ღრმად ჩაწვდომისა და მაღალ მეცნიერულ დონეზე მისი განზოგადების უნარი საშუალებას აძლევდა თ. წერეთელს საფუძვლიანად დაეკავშირებინა თავისი სამართლებრივი შეხედულებანი პრაქტიკულ დასკვნებთან. თ. წერეთელი შეუწელებელ ინტერესს იჩენდა თანამედროვეობის მწვავე სამართლებრივი პრობლემებისადმი. იგი მონაწილეობდა ოურისტთა ბევრ საერთაშორისო ფორუმში. 1975 წ. იგი მეთაურობდა საბჭოთა დელეგაციას სისხლის სამართლისადმი მიძღვნილ ვარშავა — პოპოვის საერთაშორისო სიმპოზიუმზე.

დიდა თ. წერეთლის დამსახურება სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზაციაშიც. 1950—1952 წწ. იგი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ხოლო 1957 წლიდან სათავეში ედგა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორს, რომელიც მისი ხელმძღვანელობით რესპუბლიკაში სამეცნიერო-სამართლებრივი კვლევის ცენტრი გახდა.

თ. წერეთელი აქტიურად მონაწილეობდა საკანონმდებლო აქტების მომზადებაში, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის შემუშავებისა და მისი სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარის შედგენაში, „იურიდიული ტერმინოლოგიის“ რუსულ-ქართული ნაწილის გამოცემაში.

ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის გარდა თ. წერეთელი მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწეოდა. იგი არაერთჯერ იყო არჩეული თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს დეპუტატად. სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე თ. წერეთელი იყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი, ბევრი ყურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი.

თ. წერეთლის თავდადებულმა შრომამ და ხალხის უანგარო სამსახურმა მაღალი შეფასება დაიმსახურა. მას მიენიჭა მთავრობის ჯილდოები — შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენები, აგრეთვე მედლები და სხვა ჯილდოები.

თ. წერეთლის ნათელი სახე, მეცნიერის შთაგონებელი და ღრმა სიტყვა, ზნეობრივი სისპეტაკე, უსაზღვრო კეთილმოსურნეობა და ურყევი პრინციპულობა მუდამ ეხსომებათ მის მეგობრებს, თანამშრომლებს და მოწაფეებს, ყველას, ვინც მას იცნობდა.

Советская юридическая наука понесла тяжелую утрату. Скончалась Тинатин Васильевна Церетели — видный советский ученый, заведующий сектором права Института экономики и права Академии наук Грузинской ССР, доктор юридических наук, профессор, заслуженный деятель науки Грузинской ССР, член-корреспондент Академии наук Грузинской ССР. В ее лице грузинская общественность потеряла ис-

следователя большой творческой силы, активного общественного деятеля, чуткого воспитателя молодежи.

Т. В. Церетели родилась в 1903 г. в с. Цхруквети Чнатурского уезда и воспитывалась в семье известного публициста и общественного деятеля В. Церетели. По окончании Кутаисской гимназии она поступила на юридическое отделение социально-экономического факультета Тбилисского университета. Основательное юридическое и философское образование, глубокое знание различных отраслей права она широко использовала в своей научной и педагогической деятельности.

Главной сферой научных интересов Т. В. Церетели стало уголовное право. Именно в этой области создает она фундаментальное исследование «Причинная связь в уголовном праве», которое принесло широкую известность грузинскому правоведению как в Советском Союзе, так и за его пределами. Важным событием в развитии грузинской правовой науки является ее монография «Учение о преступлении». На научных трудах Т. В. Церетели воспитано новое поколение ученых-юристов.

Доскональное знание советского и зарубежного законодательства, владение методами юридического анализа, способность глубоко проникать в сущность судебной практики и умение обобщать ее на высоком научном уровне позволяли Т. В. Церетели надежно связывать свои правовые взгляды с практическими выводами. Т. В. Церетели проявляла неослабевающий интерес к острым правовым проблемам современности. Она принимала участие во многих международных форумах юристов. В 1975 г. она возглавляла советскую делегацию на Варшавско-Поповском международном симпозиуме по уголовному праву.

Т. В. Церетели принадлежит большая заслуга в организации учебной и научно-исследовательской деятельности.

В 1950—1952 гг. она была деканом юридического факультета Тбилисского государственного университета, а с 1957 г. возглавляла сектор права Института экономики и права Академии наук Грузинской ССР, который под ее руководством превратился в центр научно-правовых исследований в республике.

Т. В. Церетели принимала деятельное участие в подготовке законодательных актов, в разработке Уголовного кодекса Грузинской ССР и составлении к нему научно-практического комментария, в осуществлении издания русско-грузинской части «Юридической терминологии».

Наряду с плодотворной научной и педагогической деятельностью, Т. В. Церетели вела значительную общественную работу. Она неоднократно избиралась депутатом Тбилисского городского Совета народных депутатов. До последних дней своей жизни Т. В. Церетели состояла членом Республиканской комиссии по делам несовершеннолетних при Совете Министров Грузинской ССР, членом научно-консультативного совета Верховного суда Грузинской ССР, членом редакционных коллегий многих журналов.



Самоотверженный труд Т. В. Цертели и ее бескорыстное служение народу получили высокую оценку. Она удостоена правительственных наград — орденов Трудового Красного Знамени и «Знак Почета», а также медалей и др.

Светлый образ Т. В. Цертели, вдохновенное в глубокое слово ученого, нравственная чистота, безграничная доброжелательность и непреклонная принципиальность навсегда останутся в памяти ее друзей, сотрудников и учеников, всех, кто знал ее.





ელიზბარ ონისიმეს ძე მინდელი  
 ЭЛИЗБАР ОНИСИМОВИЧ МИНДЕЛИ

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერი სამთო საქმის დარგში, სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის გამოჩენილი ორგანიზატორი, 1937 წლიდან სკკპ წევრი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტის დირექტორი ელიზბარ ონისიმეს ძე მინდელი.

ე. მინდელი დაიბადა 1910 წ. ონის რაიონის ს. სორში. 1931 წ. საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ე. მინდელი მუშაობდა ინჟინრად „ქუთაისის“ საწარმოებში. 1933 წლიდან კი უშუალოდ მონაწილეობდა მოსკოვის მეტროპოლიტენის მშენებლობაში. მაღალმა ინჟინრულმა ერუდიციამ, დიდმა ორგანიზატორულმა ნიჭმა ე. მინდელი ქვეყნის ქვანახშირის მრეწველობის ხელმძღვანელთა რიგებში ჩააყენა.

1940—1954 წწ. იგი მუშაობდა სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს „მთავარშახტმშენის“ უფროსად, სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრის მოადგილედ და სსრ კავშირის სათბობის მრეწველობის მინისტრის პირველ მოადგილედ. ე. მინდელის ხელმძღვანელობით ამ წლების მანძილზე მიმდინარეობდა შახტების ფართო მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში. მან დიდი ღვაწლი დასდო შახტების მშენებლობის ტექნიკის, ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის განვითარების საქმეს.

მნიშვნელოვანია ე. მინდელის წვლილი დიდი სამამულო ომის წლებში

დანგრეული დონბასისა და მოსკოვის ოლქის შახტების აღდგენასა და რეკონსტრუქციაში.

ე. მინდელი დიდ ყურადღებას უთმობდა საქართველოს სსრ ქვანახშირის მრეწველობის ჩამოყალიბებას. მისი ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით 1944—1954 წწ. განხორციელდა რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის ძირეული რეკონსტრუქცია, აშენდა შახტების უმრავლესობა ტყიბულში, ტყვარჩელში, შეიქმნა სათბობის ბაზა ახალციხის რაიონში, აიგო ჩითახევის, შაორისა და ტყიბულის ჰიდროელექტროსადგურები, კეთილმოეწყო მეშახტეთა ქალაქები ტყიბული, ტყვარჩელი და ვალე.

სამეურნეო და ადმინისტრაციულ საქმიანობასთან ერთად ე. მინდელი ეწეოდა ფართო მეცნიერულ კვლევას მთის ქანების ნგრევის მექანიკისა და ფიზიკის დარგში. მრავალი მისი გამოგონება დაინერგა წარმოებაში.

1954 წ. მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1961 წ. — სადოქტორო. მას მიენიჭა პროფესორის წოდება, ხოლო 1979 წ. ე. მინდელი არჩეულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

მთის ქანების ნგრევის თეორიისა და პრაქტიკის, აგრეთვე მიწისქვეშა ნაგებობათა მექანიკის დარგში ე. მინდელის ფუნდამენტურმა ნაშრომებმა ფართო აღიარება დაიმსახურა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ. იგი არის 20 მონოგრაფიის, ცნობარის, სასწავლო სახელმძღვანელოს ავტორი, მისი ნაშრომები თარგმნილია ბევრ უცხოურ ენაზე.

1973 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ე. მინდელი იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამთო მექანიკის ინსტიტუტის დირექტორი. მისი აქტიური სამეცნიერო-ორგანიზატორული მუშაობის შედეგად ინსტიტუტმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია როგორც სამეცნიერო საქმიანობაში, ისე სამთო პროფილის საწარმოებისათვის ყოველდღიური პრაქტიკური დახმარების გაწევაში.

როგორც ნამდვილი მეცნიერი, ე. მინდელი დიდ ყურადღებას უთმობდა მეცნიერთა კადრების აღზრდას. მეცნიერების ორგანიზატორი, მეცნიერთა და პრაქტიკოს სპეციალისტთა აღმზრდელი ე. მინდელი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი იყო სსრ კავშირის აფეთქებითი საქმის საუწყებათშორისო კომისიის თავმჯდომარე, ბევრი კომისიისა და მეცნიერული გამოცემის სარედაქციო კოლეგიის წევრი.

პარტიამ და მთავრობამ დიდად დააფასეს ე. მინდელის დამსახურება, დააჯილდოვეს იგი სამი ლენინის ორდენით, ორი შრომის წითელი დროშის ორდენით, ბევრი მედლით.

კომუნისტური პარტიის ერთგული შვილი, სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი, თვალსაჩინო მეცნიერი, შესანიშნავი ამხანაგი და აღმზრდელი, გულისხმიერი, მომხიბლავი ადამიანი — ასეთად დარჩება ე. მინდელი იმათ ხსოვნაში, ვინც მის გვერდით მუშაობდა და ცხოვრობდა.

После тяжелой болезни скончался видный советский ученый в области горного дела и крупный организатор угольной промышленности СССР, член КПСС с 1937 г., член-корреспондент Академии наук Грузинской ССР, директор Института горной механики им. Г. А. Шулукидзе Академии наук Грузинской ССР Элизбар Онисимович Миндели.

Э. О. Миндели родился в 1910 г. в с. Сори Онского района. Пос-

ле окончания в 1931 г. Грузинского индустриального института Э. О. Миндели работал инженером на предприятии «Кутбарит», а с 1933 г. принимал непосредственное участие в строительстве Московского метрополитена. Высокая инженерная эрудиция, большие организаторские способности выдвинули Э. О. Миндели в ряды руководителей угольной промышленности страны.

В период с 1940 по 1954 г. он работал начальником «Главшахто-строя» Министерства угольной промышленности СССР, заместителем министра угольной промышленности СССР и первым заместителем министра топливной промышленности СССР. Под руководством Э. О. Миндели в эти годы осуществлялось широкое шахтное строительство в нашей стране, им проведена большая работа в деле развития техники, технологии и организации шахтного строительства.

Значителен вклад Э. О. Миндели в восстановление и реконструкцию шахт Донбасса и Подмосковского бассейна, разрушенных в годы Великой Отечественной войны.

Большое внимание уделял Э. О. Миндели становлению угольной промышленности Грузинской ССР. По его инициативе и при его непосредственном участии в 1944—1954 гг. была осуществлена коренная реконструкция угольной промышленности республики, построено большое шахт в Ткибули, Ткварчели, создана топливная база в Ахалцихском районе, сооружены Читахевская, Шаорская и Ткибульская гидроэлектростанции, благоустроены города шахтеров Ткибули, Ткварчели и Вале.

Одновременно с хозяйственной и административной деятельностью Э. О. Миндели вел широкие научные исследования в области механики и физики разрушения горных пород; большинство из его многочисленных изобретений внедрено в производство.

В 1954 г. он защитил кандидатскую диссертацию, а в 1961 г. — докторскую.

Ему было присвоено звание профессора, а в 1979 г. Э. О. Миндели был избран членом-корреспондентом Академии наук Грузинской ССР.

Фундаментальные работы Э. О. Миндели в области теории и практики разрушения горных пород и механики подземных сооружений получили широкое признание как в нашей стране, так и за рубежом. Он является автором 20 монографий, справочников, учебных пособий. Его труды переведены на многие иностранные языки.

С 1973 г. до последних дней жизни Э. О. Миндели являлся директором Института горной механики Академии наук Грузинской ССР. В результате его активной научно-организаторской работы институт достиг значительных успехов как в научной деятельности, так и в оказании повседневной практической помощи предприятиям горного профиля.

Как подлинный ученый Э. О. Миндели большое внимание уделял воспитанию научных кадров. Организатор науки, воспитатель ученых и специалистов-практиков, Э. О. Миндели принимал активное уча-

стве в общественной жизни. Он являлся председателем межведомственной комиссии СССР по взрывному делу, членом многих комиссий и редколлегий научных изданий.

Партия и правительство высоко оценили заслуги Э. О. Миндели, наградив его тремя орденами Ленина, двумя орденами Трудового Красного Знамени, многими медалями.

Верный сын Коммунистической партии, пламенный патриот социалистической Отчизны, видный ученый, прекрасный товарищ и воспитатель, скромный, обаятельный человек — таким он останется в памяти тех, кто работал и жил с ним рядом.



## К СВЕДЕНИЮ АВТОРОВ

1. В журнале «Сообщения АН ГССР» публикуются статьи академиков, членов-корреспондентов, научных работников системы Академии и других ученых, содержащие еще не опубликованные новые значительные результаты исследований. Печатаются статьи лишь из тех областей науки, номенклатурный список которых утвержден Президиумом АН ГССР.

2. В «Сообщениях» не могут публиковаться полемические статьи, а также статьи обзорного или описательного характера по систематике животных, растений и т. п., если в них не представлены особенно интересные научные результаты.

3. Статьи академиков и членов-корреспондентов АН ГССР принимаются непосредственно в редакции «Сообщений», статьи же других авторов представляются академиком или членом-корреспондентом АН ГССР. Как правило, академик или член-корреспондент может представить для опубликования в «Сообщениях» не более 12 статей разных авторов (только по своей специальности) в течение года, т. е. по одной статье в каждый номер, собственные статьи—без ограничения, а с соавторами—не более трех. В исключительных случаях, когда академик или член-корреспондент требует представления более 12 статей, вопрос решает главный редактор. Статьи, поступившие без представления, передаются редакцией академику или члену-корреспонденту для представления. Один и тот же автор (за исключением академиков и членов-корреспондентов) может опубликовать в «Сообщениях» не более трех статей (независимо от того, с соавторами она или нет) в течение года.

4. Статья должна быть представлена автором в двух экземплярах, в готовом для печати виде, на грузинском или на русском языке, по желанию автора. К ней должны быть приложены резюме — к грузинскому тексту на русском языке, а к русскому на грузинском, а также краткое резюме на английском языке. Объем статьи, включая иллюстрации, резюме и список цитированной литературы, приводимой в конце статьи, не должен превышать четырех страниц журнала (8000 типографских знаков), или шести стандартных страниц машинописного текста, отпечатанного через два интервала (статьи же с формулами — пяти страниц). Представление статьи по частям (для опубликования в разных номерах) не допускается. Редакция принимает от автора в месяц только одну статью.

5. Представление академика или члена-корреспондента на имя редакции должно быть написано на отдельном листе с указанием даты представления. В нем необходимо указать: новое, что содержится в статье, научную ценность результатов, насколько статья отвечает требованиям пункта 1 настоящего положения.

6. Статья не должна быть перегружена введением, обзором, таблицами, иллюстрациями и цитированной литературой. Основное место в ней должно быть отведено результатам собственных исследований. Если по ходу изложения в статье сформулированы выводы, не следует повторять их в конце статьи.

7. Статья оформляется следующим образом: сверху страницы в середине пишутся инициалы и фамилия автора, затем — название статьи; справа сверху представляющий статью указывает, к какой области науки относится она. В конце основного текста статьи с левой стороны автор указывает полное название и местонахождение учреждения, где выполнена данная работа.

8. Иллюстрации и чертежи должны быть представлены по одному экземпляру в конверте; чертежи должны быть выполнены черной тушью на кальке. Надписи на чертежах должны быть исполнены каллиграфически в таких размерах, чтобы даже в случае уменьшения они оставались отчетливыми. Подрисуночные подписи, сделанные на языке основного текста, должны быть представлены на отдельном

листе. Не следует приклеивать фото и чертежи к листам оригинала. На полях оригинала автор отмечает карандашом, в каком месте должна быть помещена та или иная иллюстрация. Не должны представляться таблицы, которые не могут уместиться на одной странице журнала. Формулы должны быть четко вписаны чернилами в оба экземпляра текста; под греческими буквами проводится одна черта красным карандашом, под прописными — две черты черным карандашом снизу, над строчными—также две черты черным карандашом сверху. Карандашом должны быть обведены полукругом индексы и показатели степени. Резюме представляются на отдельных листах. В статье не должно быть исправлений и дополнений карандашом или чернилами.

9. Список цитированной литературы должен быть отпечатан на отдельном листе в следующем порядке. Вначале пишутся инициалы, а затем — фамилия автора. Если цитирована журнальная работа, указываются сокращенное название журнала, том номер, год издания, а если цитирована книга, — полное название книги, место и год издания. Если автор считает необходимым, он может в конце указать и соответствующие страницы. Список цитированной литературы приводится не по алфавиту, а в порядке цитирования в статье. При ссылке на литературу в тексте или в сносках номер цитируемой работы помещается в квадратные скобки. Не допускается вносить в список цитированной литературы работы, не упомянутые в тексте. Не допускается также цитирование неопубликованных работ. В конце статьи, после списка цитированной литературы, автор должен подписаться и указать место работы, занимаемую должность, точный домашний адрес и номер телефона.

10. Краткое содержание всех опубликованных в «Сообщениях» статей печатается в реферативных журналах. Поэтому автор обязан представить вместе со статьей ее реферат на русском языке (в двух экземплярах).

11. Автору направляется корректура статьи в сверстанном виде на строго ограниченный срок (не более двух дней). В случае невозвращения корректуры к сроку редакция вправе приостановить печатание статьи или печатать ее без визы автора.

12. Автору выдается бесплатно 25 оттисков статьи.

(Утверждено Президиумом Академии наук Грузинской ССР 10.10.1968; внесены изменения 6.2.1969)

Адрес редакции: Тбилиси 60, ул. Кутузова, 19, телефоны 37-22-16, 37-93-42.

Почтовый индекс 380060

Условия подписки: на год — 12 руб.

№ 1 836.  
ЦЕНА 1 РУБ.

109/115

